პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 240 (3217) 13 1966 წ. დეკემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

### საათი!

◆ **ბეირუთი**, 12 დეკემბერი. 11 ქვეყნის მოფარიკავეთა მონაწილეობით აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში დაშნით მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა, მანსკელმა ა. ნიკანჩიკოვმა.

◆ პრაღა, 12 დეკემბერი. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის დედაქალაქების — პრაღისა და მოსკოვის მეორე ტრადიციული მატჩი ჭადრაკში სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა. ორწრიანი შეხვედრის შედეგია 11.7 (გუნდში შედიოდა 8 ვაჟი და 1 ქალი). მოსკოველთა ნაკრებში პირველ დაფაზე თამაშობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი.

◆ **სიდნეი**, 12 დეკემბერი. ევროპის კონტინენტის მოცურავეები წლევანდელ სეზონს აჯამებენ, ავსტრალიაში კი საცურაო „ციებ-ცხელება" ახლა იწყება. ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა 18 წლის კეტი უეინრაიტმა, რომელმაც 400 მ თავისუფალი სტილით 1 წუთსა და 41,7 წამში გაცურა.

◆ ჰავანა, 12 დეკემბერი. კუბის რევოლუციის მე-8 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ფესტივალის მეორე დღეს ევროპის 10 ქვეყნის 62-მა მძლეოსანმა ბევრი მაღალი კლასის შედეგით იასპარეზა. მოსკოველი ტატიანა ტალიშევას სიგრძეზე ნახტომში 618 სმ-ს უდრიდა, ხოლო 200 მეტრზე რბენაში საუკეთესო იყო კუბელი მიგელინა კობიანი — 23,5 წამი. 16,02 მეტრზე ჰკრა ბირთვი მარიტა ლანგემ (გდრ). ვაჟებში თავი გამოიჩინეს ინგლისელმა ჯ. ფიტცსიმონსმა (შუბი — 79,28 მ), კუბელმა ე. სამუელსმა (ურო — 66,16 მ), საბჭოთა მძლეოსანმა ა. სკრიპნიკმა (20 კმ-ზე რბენა — 1:03.52,0).

# ლიდერთა შეხვედრა

**კიევი**, 12 დეკემბერი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის XVI ტურში, ცხადია, საერთო ყურადღება მიიპყრო ლიდერების — ზატულოვსკაიასა და ალექსანდრიას შეხვედრამ. მწვავედ გათამაშებულ დებიუტს მოჰყვა მძაფრი ბრძოლა, რომელიც არც ენდშპილში დამცხრალა. იყო მომენტი, როცა ალექსანდრიას შეეძლო ყაიმით დაემთავრებინა პარტია, მაგრამ მან გამარჯვებისთვის ბრძოლა არჩია. ზატულოვსკაიას 2 თეთრი ეტლი მე-7 ჰორიზონტალზე შეიჭრა და 2 პაიკი მოიგო. ცაიტნოტის მიუხედავად, თბილისელმა ერთადერთი სწორი გამოსავალი მონახა: მისი მეფე თეთრი პაიკებისკენ წავიდა, რამაც პოზიცია კიდევ მეტად გაართულა. ამ დროს ამოიწურა თამაშისთვის განკუთვნილი 5 საათი და 42-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

დაუმთავრებელი დარჩა სხვა ლიდერთა პარტიებიც.

კაკაბაძემ ეტლის შეწირვით ლამაზად მოუგო მუსლიმოვას. ვოიციკი დამარცხდა გოლოვეისთან, ხოლო სკეგინა — რანიკუსთან. ყაიმით დასრულდა კახაბრიშვილ — მოროზოვას შეხვედრა.

### უკანასკნელ საათს!

კიევი, 12 დეკემბერი. დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. თამაშის განახლებისას ზატულოვსკაიამ ვერ მიაგნო უპირატესობის რეალიზაციის სწორ გეგმას, რამაც ალექსანდრიას მისცა რეალური საყაიმო შანსების შექმნის საშუალება. გამსვლელი პაიკების მიღების მიზნით ბაქოელმა ოსტატმა მეტოქეს მხედარი შესწირა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ალექსანდრიამ ამ ორ პაიკს ეტლი „ანაცვალა" და დარჩა კუთი თეთრი ეტლის წინააღმდეგ. მალე თბილისელმა თეორიულად საყაიმო პოზიცია ააგო და ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ, 94-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დაზავებით აღინიშნა, აგრეთვე, რუბცოვა — იდელჩიკის, გოლოვეი — ტიხომიროვას, კაკაბაძე — მედიანიკოვას, პიკოვა — ტიხომიროვას, ბოიახჩიან — მედიანიკოვას პარტიები.

კისლოვამ მოუგო ტიხომიროვას, ბოიახჩიანმა — მუსლიმოვასა და სკეგინას, ჩაიკოვსკაიამ — არჩაკოვას.

16 ტურის შემდეგ ალექსანდრიას, ზატულოვსკაიასა და კისლოვას 11-11 ქულა აქვთ.

13 დეკემბერს გაიმართება XVII ტური, 14-ში — XVIII, 15-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო 16-ში — ბოლო ტური.

**ტ. კრიუკოვა**,
**საერთაშორისო არბიტრი, სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის მსაჯი.**

XXVI ჩემპიონატი

ვარშავა, 12 დეკემბერი. საბჭოთა არმიის მოკრივეებმა 6 პირველი ადგილი დაიკავეს პოლონეთის დედაქალაქის კლუბის „ლეგიას" 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში. ამ შეჯიბრებაში საასპარეზოდ

### ექვსნი — პირველზე...

მასპინძლებმა მიიწვიეს სსრ კავშირის, უნგრეთის, გდრ-ისა და ფინეთის მოკრივეები. სპეციალისტები გააოცა ტაშკენტელმა პ. ჩუდინოვსკიხმა, რომელმაც დაამარცხა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი მსუბუქ წონაში ი. გრუძენი. ტაშკენტელის წარმატება გაიზიარეს ნოვოსიბირსკელმა ლარიონოვმა, მოსკოველებმა შაშკოვმა, დრინოვმა და ფროლოვმა, ვოლგოგრადელმა ტრეგუბოვმა.



იუენი ბუგი ვინიცის ნიჩბოსანთა რჩეული სავარჯიშო ადგილია. ძლინარე ჯერ არ გაყინულა და სპორტსმენები ახლაც ყოველდღე დასრიალებენ წყალზე ბაიდარებითა და კანოეთი.

• • •

სურათზე: „დინამოს" ნიჩბოსნები საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ფოტო ე. კოპიტისა (საკდესი).

# საკუთარი ძალით

ამ ერთი თვის წინათ ველისციხის № 13 სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის კოლექტივმა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად იეალდებულია სასწავლებლის ტერიტორიაზე მოეწყო ფეხბურთის მინდორი, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და ჭიდაობის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთის სარბიელი, აგრეთვე, ტირი და მძლეოსნობის სექტორები.

სასწავლებლის აღსაზრდელები დიდი მონდომებით შრომობენ თავიანთი სპორტული ბაზის შესაქმნელად.

**ა. ჯალაღანია**,
**ველისციხის № 13 სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის ინსტრუქტორი.**

# ნორჩი ხელბურთელები

რამდენიმე დღეს უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა ზესტაფონის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის ხელბურთის მოედანზე. კომკავშირის რაიკომის ინიციატივით, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, აქ მოეწყო ქალაქის მოსწავლეთა შეჯიბრება ხელბურთში, რომელშიც, აგრეთვე, მონაწილეობდნენ აგრონომიული სასწავლებლის წარმომადგენლები.

გაიმარჯვა რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის გუნდმა. II ადგილზე აგრონომიული სასწავლებლის კოლექტივი, ხოლო III — ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრები.

ანალოგიური შეჯიბრება ახლა კალათბურთში მიმდინარეობს.

**ა. განუგრავა**,
**(ჩვენი კორ.)**.
ზესტაფონი.

# სახლი ბულვარზე

### სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბს 10 წლისთავი შეუსრულდა

ეს ძველებური სახლი გოგოლის ბულვარზე 10 წლის წინათ გადასცეს მოჭადრაკეებს. სულ მალე კლუბის მისამართი — გოგოლის ბულვარი, 14 — ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც გასცდა.

როგორც ცნობილია, მოსკოვს უცხოეთში ჭადრაკის მექას ეძახიან. ცენტრალურ საჭადრაკო კლუბს კი ჭადრაკის ოლიმპი შეიძლება ვუწოდოთ. აქ იყრიან თავს უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკეები, აქ ჩამოდიან ცნობილი უცხოელი ოსტატები და დიდოსტატები. ჩამოდიან ტურისტებიც — ჭადრაკის მოყვარულები, რათა, ვინ იცის, თავის სიცოცხლეში პირველადაც, საკუთარი თვალით ნახონ „ძლიერნი ჭადრაკის სამყაროსნი" და თუ კი ბედმა გაუღიმათ, ეთამაშონ კიდეც მათ.

— ჰანს მიულერი, მიუნჰენიდან — გვაცნობს თავს ერთ-ერთი ამ სტუმართაგანი. — შეიძლება, თუნდაც ერთი პარტია ვეთამაშო რომელიმე საბჭოთა დიდოსტატს?

— კი, ბატონო. ამ საღამოს კლუბში დიდოსტატი სმისლოვი ატარებს ერთდროული თამაშის სეანსს.

საბჭოთა მოჭადრაკეების სახელოვან გამარჯვებებზე ღაღადებს ვიტრინა კლუბის ერთ-ერთ ჰოლში. სპორტულ „ალაფში" დიდი ოქროს ლარნაკი გამოირჩევა. ეს ჰამილტონ-რასელის თასია, მსოფლიოს გუნდურ ასპარეზობათა გარდამავალი პრიზი. საბჭოთა მოჭადრაკეები — მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონები — უკვე 14 წელია, არ თმობენ მას. სულ ახლახან თასმა ჰავანა მოიარა, სადაც XVII ოლიმპიადა ტარდებოდა. იქ საბჭოთა დიდოსტატებმა კვლავ I ადგილი მოიპოვეს და პრიზი ისევ დაუბრუნეს მოსკოვს.

იქვე სხვა, უფრო მომცრო თასებიც დაუწყვიათ. ერთ-ერთზე მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელია ამოკვეთილი. მეორე — სტუდენტთა საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებულ საბჭოთა მოჭადრაკეებს ეკუთვნით.

მოპირდაპირე კედელზე მსოფლიო ჩემპიონთა პორტრეტების სტენდია. ჭადრაკის ისტორია 9 „მეფეს" ითვლის. მათგან 4 — მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი და ტ. პეტროსიანი — საბჭოთა დიდოსტატები არიან.

კლუბის ვრცელ დარბაზებში უამრავი ხალხი ტრიალებს, მით უფრო, საღამოობით. ვის არ შეხვდები აქ! აი, აკადემიკოსი ს. სტრუმილინი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, დირიჟორი ი. ფაიერი, ცნობილი ფეხბურთელი ი. ნეტო... ყველა ესენი კლუბის წევრები არიან, ყველას უყვარს ჭადრაკი.

საწევრო ბილეთი № 1 ცნობილ მოჭადრაკეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს მიხეილ ბოტვინიკს ეკუთვნის, № 1172 — ალექსეი ოვსიენკოს, პირველთანრიგოსან მოჭადრაკეს, ცხენოსანს.

კლუბს 1172 მხოლოდ მოსკოველი წევრი ჰყავს, მაგრამ არც ის რამდენიმე ათასი მოჭადრაკე უნდა დავივიწყოთ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში რომ ცხოვრობს. ისინი მონაწილეობენ შეჯიბრებებში მიწერ-მოწერით, კლუბი მათ აწვდის სასწავლო ლიტერატურას, საინფორმაციო ბიულეტენებს, რჩევა-დარიგებებს ორგანიზაციულ და თეორიულ საკითხებზე.

ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საქმიანობა მრავალფეროვანია: საბჭოთა მოჭადრაკეების შემოქმედებითი ანგარიშები, ცნობილ თეორეტიკოსთა ლექციები, ერთდროული თამაშის სეანსები.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ახალგაზრდა მოჭადრაკეთა აღზრდას. კლუბთან შექმნილია მოზარდთა სკოლა, სადაც ათობით ნიჭიერი გოგონა და ბიჭი გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ეუფლება ჭადრაკის ხელოვნებას. დროდადრო მათ ერთდროული თამაშის სეანსებს უტარებენ ტ. პეტროსიანი, მ. ბოტვინიკი, დ. ბრონშტეინი და სხვა დიდოსტატები. სკოლის აღზრდილთაგან ბევრი დღეს უკვე ოსტატია. დავასახელოთ, თუნდაც, მოსკოვის უნივერსიტეტის ჩემპიონი ბ. გულკო და მოსკოვის ჩემპიონი ე. რუბცოვა.

ტრადიციად იქცა ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობენ. ამ ზაფხულს უკვე მერვე ტურნირი ჩატარდა, მაგრამ ყველაზე დიდი ასპარეზობა მაინც კლუბის ჩემპიონატია. მარტო შესარჩევ შეჯიბრებებში 500-ზე მეტი კაცი გამოდის!

მოჭადრაკეები მხოლოდ ჭადრაკით როდი ცხოვრობენ. მათი ინტერესების წრე ფართო და მრავალფეროვანია. კლუბი ცდილობს ყველას მოთხოვნას უპასუხოს. ხშირად ეწყობა საინტერესო შეხვედრების საღამოები, კონცერტები, ცეკვები, მოდების დემონსტრირება, უჩვენებენ ახალ ფილმებს.

დასასრულ ვიტყვით, რომ იუბილეს დღეებში კლუბმა უამრავი მისალოცი დეპეშა მიიღო. აი, ერთ-ერთი:

„გულით მივესალმები სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბს და ვულოცავ 10 წლისთავს. თუმცა 10 წელი არც ისე დიდი დროა, მას უკვე შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოს საჭადრაკო აზროვნების ცენტრი. კლუბის უდიდესი დამსახურება გახლავთ, რომ იგი განამტკიცებს მთელი მსოფლიოს მოჭადრაკეთა მეგობრობას. ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებებს საჭადრაკო ხელოვნების საკეთილდღეოდ".

ეს დეპეშა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა მაქს ეივემ გამოგზავნა.

**ვ. ხენკინი**,
**სპორტის ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვივალდებულეთ? — შევასრულებთ!

**„ლელო“ საგუშაგო**

**1965 წლის ნოემბერში მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეებმა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ივალდებულეს სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა დღევანდელ მოთხოვნათა სიმაღლეზე აეყვანათ. ამ მიზნით შეიქმნა ორწლიანი პროგრამა და მისი განხორციელება თვითეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა საბრძოლო ამოცანად დაისახა.**

**— როგორ ასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს? — აი, კითხვა, რომლითაც „ლელოს“ საგუშაგო დროდადრო მიმართავს ამ კოლმეურნეობებისა და მეურნეობის ხელმძღვანელებს. ამჯერად, შემოქმედელები გვაძლევენ პასუხს.**

— ამ ერთ წელიწადში, — გვითხრა შემოქმედის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ რ. ჭანუყვაძემ, — ჩვენს სოფელში ბევრი რამ გაკეთდა. დიდი ოქტომბრის იუბილესთვის კოლმეურნეთა 50 პროცენტი უნდა ჩავაბათ ფიზკულტურულ საქმიანობაში. მიზანს უთუოდ მივაღწევთ. 40 პროცენტი უკვე მეცადინეობს სპორტში. გაისად ნოემბრამდე ფიზკულტურელთა კოლექტივის ახალი ნაკადით შევსება არ უნდა გაგვიძნელდეს. რეგულარულად ვაწყობთ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს და სამატჩო შეხვედრებს ცალკეულ სახეობებში...

ეს რომ ლიტონი სიტყვა არაა, შემოქმედელ ფიზკულტურელთა წლევანდელი წარმატებებიც ადასტურებს: მძლეოსნებმა II ადგილი დაიკავეს რაიონულ შეჯიბრებაში, კალათბურთელმა ქალებმა კი — I. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ფიზკულტურულ კოლექტივში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, სროლის, ლელობურთის, ქართული ჭიდაობისა და ძალოსნობის სექციები, რაც კოლმეურნე-სპორტსმენების — ფეხბურთელების ნ. ჩხარტიშვილის, ნ. დოლიძისა და ნ. საბაშვილის, მძლეოსან გ. ერქომაიშვილის, რაიონის ლელობურთელთა ნაკრების წევრების ნ. გიორგაძის, ვ. ჭანუყვაძისა და სხვათა გულმოდგინე მუშაობის შედეგიცაა.

შემოქმედელებმა წლეულს მოამზადეს მათ I და II საფეხურის 45 ნიშნოსანი, 2 პირველთანრიგოსანი (კლასიკურ ჭიდაობაში), 20 მეორეთანრიგოსანი (კალათბურთი, ფრენბურთი, ჭიდაობა), თუმცა, ვალდებულებით, მხოლოდ 10 მეორეთანრიგოსანი და 15 ნიშნოსანი უნდა მოემზადებინათ.

რ. ჭანუყვაძე საკოლმეურნეო სპორტული ბაზის მშენებლობისკენ გაგვიძღვა. სოფლის საშუალო სკოლასთან აწყობენ ფეხბურთის მინდორს, მძლეოსნურ ბილიკებსა და სექტორებს, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნებს. ახლა, როცა სამშენებლო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება, ძნელია წარმოდგენა, თუ რა სიძნელეების გადალახვა მოუხდათ შემოქმედელებს. საკმარისია ითქვას, რომ ადრე ეს ადგილი გორაკებად შეზვინული ლოდებით იყო ჩახერგილი. ბულდოზერებსა და ექსკავატორებსაც კი უჭირდათ ნიადაგში მუხის ფესვებივით გადგმულ ქვებთან ჭიდილი.

...მშენებლობაზე ჭარმაგი კაცი შევნიშნეთ. მორიგი მანქანა რომ დაიცალა, უბის წიგნაკი გადაშალა და რაღაც ჩაინიშნა. მერე ღიმილით გვითხრა: ეს 981-ე მანქანა იყო, მაგრამ ჯერ სადაა, კიდევ 400 მანქანა მიწაა საჭირო, რომ მომავალი სპორტბაზის ტერიტორია მთლიანად მოვასწოროთ. მერე ნიადაგის მოშანდაკებას დავიწყებთ. ფეხბურთის მინდვრისა და სპორტული მოედნების აღჭურვა კი უკვე იოლი საქმეაო. ეს თქვა და მაშინვე დასძინა: ერთი სიტყვით, ორიოდე თვეში მოგიწვევთ ახალი საკოლმეურნეო სპორტბაზის საზეიმო გახსნაზე და ყველაფერს თქვენი თვალით ნახავთ. ვივალდებულეთ? — შევასრულებთ კიდეცო.

ეს ჭარმაგი კაცი ვალერიან დუმბაძე იყო. იგი 33 წელიწადი მუშაობდა შემოქმედის სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად. სამოცს გადააბიჯა, მაგრამ ახლაც ქაბუკური შემართებით ხელმძღვანელობს მომავალი სპორტული სარბიელის მშენებლობას, ხელმძღვანელობს უსასყიდლოდ.

— კარგი საქმე ითავა კოლმეურნეობამ და აბა, უსაქმოდ რა გამაჩერებდა?, — განაგრძო ვალერიანმა. — ამათ მაპატიონ, თქვენ კი ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე მაინც უკეთ ვიცი, რა რისთვისაა ამ საქმეში საჭირო და ამიტომაც ამოვუდექი მხარში მშენებლებს. ჩვენს სოფელში ბევრი კარგი ვაჟკაცი და სპორტსმენი გაიზარდა, თუმცა არც სტადიონი გვქონდა და არც რაიმე კეთილმოწყობილი მოედანი. ტრიალ მინდორზე დავდევდით ბურთს... მერე ზოგი ომმა იმსხვერპლა, ზოგი კი დღეს შრომის ფერხულშია ჩაბმული. აი, სტადიონს მოვაწყობთ და მათაც მოვიწვევთ. სიჭაბუკეს მოვიგონებთ, მამები შვილებს გავეჯიბრებით.

ამ სიტყვებზე ვალერიანმა ულვაშებში ჩაიცინა და „საიდუმლო“ გაგვანდო:

— სტუმრები ნახავენ, შემოქმედელებმა კარგი საქმე წამოიწყესო და შეიძლება ზოგი თავადაც ამოგვიდგეს მხარში. რა საქმეშიო? საქმეს რა გამოლევს! მარტო ის არ კმარა, რომ საცურაო აუზის მოწყობას ვაპირებთ?

ვალერიანმა ვაჟიშვილი გაგვაცნო. ამ ყმაწვილმა „წაართვა“ ფიზაღზრდის მასწავლებლობა სკოლაში, ჯერ ჭყინტია, მაგრამ, ვფიქრობ, იმედს გამიმართლებს. არ გამიმართლებს და სკოლაში ფეხს არ შევადგმევინებო, იხუმრა. მაგრამ ისე იხუმრა, რომ იტყვიან, ნახევარი მართალი იყო.

გივი დუმბაძე დაუზარელი კაცია. მამის კვალზე დამდგარი, სულით და გულით მოკიდებია საქმეს. სკოლაში ნორჩებს ზრდის, თავისუფალ დროს კი შემოქმედის ფიზკულტურის კოლექტივის ფიზსაბჭოს თაოსნობს. კოლმეურნე-სპორტსმენთა დაოსტატებაში მასაც დიდი წვლილი მიუძღვის.

შემოქმედელები ბევრი სასახელო საქმის თაოსნები არიან და არც ახლა შეირცხვენენ თავს. ივალდებულეს — შეასრულებენ კიდეც!

**ჯ. ენუქიძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. შემოქმედი,
მახარაძის რაიონი.



თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტისა და ქ. ორჯონიკიძის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა გუნდები. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი დამარცხდა სტუმრებთან — 1:2, სამაგიეროდ, უნივერსიტეტელებმა ძლიეს სტუმრებს — 2:1.

გაიმართა, აგრეთვე, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა და ორჯონიკიძის „სპარტაკის“ ფრენბურთელ ქალთა შეხვედრა. ანგარიშით 8:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

სურათზე: უნივერსიტეტელ და სპარტაკელ ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. გენგიურისა.

## თერჯოლა

სოფელ ნახშირღელის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა 11-მა გუნდმა გაითამაშა ფიზკულტურული კოლექტივის პირველობა. გამარჯვებულის თასი გადაეცა X (პირველი) კლასის გუნდს, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

* * *

მექანიკური ქარხნის მოჭადრაკეებმა და მოშაშეებმა ამას წინათ თავიანთი პირველობა გამართეს. ჭადრაკში ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა დ. ცხადაძემ, ხოლო შაშში — ლ. ნიკოლაძემ.

**ლ. ჯიშიაშვილი.**

### „დედოფალი“ საჭიროებს თაყვანისმცემლებსა და მკურნალს“

ჩვენი გაზეთის წლევანდელ 8 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი ეხებოდა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სპორტული კლუბის „დეიქრის“ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

როგორც საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი დ. აბუთიძე გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. კომბინატში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისთვის ფიზკულტურის უფროს ინსტრუქტორს გ. დვალს და მძლეოსნობის მწვრთნელს ვ. ასანიძეს მიეთითათ. მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტიის რაიკომმა ჩაატარა კომბინატის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, „დეიქრის“ გამგეობის წევრთა, საამქროთა და განყოფილებათა ფიზორგების გაერთიანებული თათბირი.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეებში მძლეოსნური სპორტის შემდგომი განვითარებისთვის დაისახა ღონისძიებები: უმოკლეს დროში კომბინატის ტერიტორიაზე მოეწყობა მარტივი ტიპის მძლეოსნური სექტორები, კომბინატის ახალგაზრდობა უფრო ფართოდ ჩაებმება მძლეოსნურ სექციებში, ჩატარდება საზოგადოებრივ მწვრთნელთა მოსამზადებელი და გადასამზადებელი სემინარები, სისტემატურად გაიმართება მძლეოსნური შეჯიბრებები, კროსები, „მტყორცნელის დღე“, „მხტომელის დღე“, „მორბენლის დღე“ და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მაღალი თანრიგების სპორტსმენთა მომზადებას, მოეწყობა სპეციალური სტენდი მძლეოსნური სპორტის განვითარების ამსახველი მასალებითა და სხვ.

საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი, რათა კომბინატის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტს 1967 წლისთვის გამოეყოს ფონდი „ფეიქარში“ მძლეოსნობის სექციის დამატებითი ჯგუფების შესაქმნელად.

**„ლელო“ წერილის კვალდაკვალ**

# დიდი სარბიელის

**დადგა სპორტული ზამთარი. „თეთრი სტარტებისთვის“ გულდაგულ მოემზადნენ მოთხილამურეები, ორჭიდელები, ბიატლონისტები, ტრამპლინიდან მხტომელები. რა ელით მათ წლევანდელი ზამთრის ტრასებზე? გვთავაზობს რაიმე საინტერესოს 1966-67 წლის კალენდარი?**

**ამის შესახებ უამბო აახ-ის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის სათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნაუმოვმა.**

— ბუნებრივია, რომ სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი გამოცდა მსოფლიო ჩემპიონატია, — ამბობს ვ. ნაუმოვი. — საბჭოთა მოთხილამურეებმა (ვაჟებზე მოგახსენებთ) ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს თავი. საუკეთესო შედეგებად ჩაითვალა V-VI ადგილები ა. აკენტიევისა და ვ. ვედენინისა 30 და 50 კმ-ზე რბოლაში, ბ. ჩერიომუხინისა — ორჭიდში და კ. წაქაძისა — ხტომაში.

სათხილამურო სპორტის ფედერაციამ იზრუნა ჩვენი ოსტატების უკეთ მომზადებისთვის, ფართოდ გაუხსნა გზა ახალგაზრდობას დიდ სარბიელზე. პირველ ყოვლისა, გაიზრდება შეჯიბრებების რაოდენობა. უწინ საბჭოთა სპორტსმენებს საუკეთესო სეზონშიც კი 25-30 სტარტი ჰქონდათ. ამ ზამთარს ისინი სხვადასხვა მასშტაბის 45-50 შეჯიბრებაში გამოვლენ. ახალი კალენდარი მხტომელთათვის 25 და ორჭიდელთათვის 18 სტარტს ითვალისწინებს. ყოველივე ზემონათქვამი ეხება საერთაშორისო შეჯიბრებებსაც. სულ ახლახანსაც კი ამ შეჯიბრებებში, უცხოეთში, ჩვენი ქვეყნის 40-50 სპორტსმენი თუ გამოდიოდა. ჩვენ კი უცხოელ სტუმრებს, ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ ვმასპინძლობთ ტრადიციულ ასპარეზობაში, ლენინგრადთან ახლოს — კავგოლოვოში.

ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება 14 დიდი საერთაშორისო ასპარეზობა სათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში. შეჯიბრებები ისეა დაგეგმილი, რომ ძლიერ უცხოელ მეტოქეებს ჩვენი 500-მდე მოთხილამურე უნდა შეხვდეს. უმთავრესად, ნიჭიერი ახალგაზრდობა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდ სარგებლობას მოუტანს ეს შეხვედრები ახალგაზრდა სპორტსმენებს.

საბჭოთა მოთხილამურეების უცხოეთში ასპარეზობის პროგრამა უკვე განსაზღვრულია. დავისახელებთ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანს ამ შეხვედრებიდან. პირველ ყოვლისა, ეს გახლავთ 4 ტრამპლინის ტურნე (ობერსტდორფში, გარმიშ-პარტენკირხენში, ბიშოფსჰოფენსა და ინსბრუკში). ეს შეჯიბრება 30 დეკემბერს იწყება; შვეციური „სათხილამურო თამაშები“ ფალუნში 20-22 იანვარს; ტრადიციული შეჯიბრებები ფინეთის ქალაქ ლაჰტიში 24-26 თებერვალს; ჰოლმენკოლენის შეჯიბრებები ნორვეგიაში 3-5 მარტს.

თებერვლის შუა რიცხვებში საბჭოთა მოთხილამურეების დიდი ჯგუფი გაემგზავრება გრენობლს საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობის მისაღებად. აქ მომავალი ოლიმპიელები გაეცნობიან რბოლების ტრასებსა და ტრამპლინებს. დასასრულ, ჩვენი ბიატლონისტები 16-19 თებერვალს იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონატში (გდრ). სხვათა შორის, ამ პირველობაში მონაწილეობას მიიღებენ იუნიორებიც. ერთი სიტყვით, საბჭოთა მორბენლები, მხტომელები, ორჭიდელები, ბიატლონისტები საზღვარგარეთის თითქმის 30 შეჯიბრებაში ცდიან ძალას.

# მოჭიდავეთა მიწიერი საქმენი

მოსკოვში გაიმართა ჭიდაობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელმაც შეაჯამა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის პირადი პირველობის შედეგები. შეჯიბრებათა დებულების თანახმად, პირადი ჩემპიონატის მაჩვენებლების პარალელურად განისაზღვრა გუნდური ადგილები მოკავშირე რესპუბლიკებისა და სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს შორის.

თავისუფალ ჭიდაობაში I გუნდური ადგილი მიეკუთვნა რსფსრ-ს ნაკრებს, II — უკრაინის კოლექტივს, ხოლო III — საქართველოს ათლეტებს. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის პირველი 3 ადგილი ასე განაწილდა: 1. საბჭოთა არმია, 2. „დინამო“, 3. „სპარტაკი“.

რსფსრ-ს ათლეტთა კოლექტივმა I ადგილი დაისაკუთრა კლასიკურ ჭიდაობაშიც. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის აქ უძლიერესნი იყვნენ დინამოელები.

პრეზიდიუმმა აღნიშნა საკავშირო ჩემპიონატების კარგი ორგანიზაცია ალმა-ათაში, ნოვოსიბირსკსა და სვერდლოვსკში. ამ ქალაქებში გამართულ ტურნირებს დიდძალი ხალხი დაესწრო. სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული „კლასიკოსთა“ ფინალური ტურნირის ორგანიზაცია ლენინაკანში.

განსაკუთრებით აღინიშნა ფინალურ შეჯიბრებებში ზოგიერთი სპორტსმენის უდისციპლინო საქციელი. თავისუფალ ჭიდაობაში მსაჯთა კოლეგიამ ჩემპიონატიდან მოხსნა ი. ცატურიანი (ლენინგრადის „ბურევესტნიკი“, მწვრთნელი ს. გალკინი) და ი. მამედოვი (ბაქოს „დინამო“, მწვრთნელები ა. ჰასანოვი და რ. ისმაილოვი). „კლასიკოსთა“ ტურნირში ყალბი ჭიდაობისთვის დაისაჯნენ: ვ. ივანკინი (ლვოვის „ლოკომოტივი“, მწვრთნელი ვ. ტრუბჩანინოვი) და გ. ლი (ტაშკენტის „ლოკომოტივი“, მწვრთნელი ა. სამერხანოვი).

ჩამოთვლილ სპორტსმენებს პრეზიდიუმმა 1 წლით აუკრძალა საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობა.

ჭიდაობის საკავშირო ფედერაციამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: ზ. შეყრილაძეს (ქუთაისის „განთიადი“), ჯ. კარამულინს, ვ. დოცუკს და ა. მოტინს (სამივე — ალმა-ათის „ლოკომოტივი“).

საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: ვ. ბაგრამიანს (ერევნის „შრომითი რეზერვები“), ვ. ბოგოლეპოვს (ფრუნზეს „ბურევესტნიკი“), ნ. გოლოვინს (მოსკოვის „ტრუდი“), ო. პრონინს (რიგის „დაუგავა“), ა. ტიურიაკოვს (ცსკა), ი. მიხაილოვს (ალმა-ათის „ბურევესტნიკი“), ვ. ტერეშჩენკოს (ლვოვის „ბურევესტნიკი“), ნ. ტკაჩენკოს (როსტოვის ასკ), ლ. ფურსას (გროდნოს „კრასნოე ზნამია“).

* * *

ლოზანაში (შვეიცარია) გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) აღმასკომისა და ტექნიკური კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში მოქმედი საერთაშორისო წესების დამატება. ამიერიდან შეხვედრას ლეიბზე იმსაჯებენ არბიტრი და მსაჯი (ღია მსაჯობით). მსაჯმა ტექნიკური მოქმედებისა და გაფრთხილებისათვის მიცემულ ქულათა რაოდენობა დაუყოვნებლივ უნდა აჩვენოს. მსაჯობაში მონაწილეობს, აგრეთვე, ჟიურის 2 წევრი, რომლებიც ავსებენ სამსაჯო ბარათებს. ეს ბარათები დახურულ კონვერტებში გადაეცემა თავმჯდომარეს. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ პროტესტის შემთხვევაში. წმინდა გამარჯვების მინიჭების, ან გაფრთხილების წინ არბიტრმა აზრი უნდა ჰკითხოს მსაჯს. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში საქმეში ჩაერევა ჟიური და გადაწყვეტილებას უკვე ხმათა უმრავლესობით მიიღებენ.

ჩემპიონატში საასპარეზოდ ჩამოსულ 8 მოჭიდავეს უნდა ახლდეს 2 მსაჯი, 4-დან 7 ათლეტს კი — მხოლოდ 1 მსაჯი.

როგორც ცნობილია, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე (ტოლიდოში) დამტკიცდა ბრძოლის ახალი ფორმულა: 3 სამწუთიანი რაუნდი თითოწუთიანი შესვენებებით (მხედველობაში მიიღება შერკინების წმინდა დრო). სახიფათო მდგომარეობისას ბრძოლა არ გაგრძელდება: 3 წუთის შემდეგ შეხვედრა ნებისმიერ მდგომარეობაში წყდება. შემოღებულია წმინდა მოგების ფიქსაცია — ლეიბზე ბეჭების აშკარა შეხება (ჩოქბჯენში ბრძოლისას არბიტრი წმინდა გამარჯვებას ლეიბზე ხელის დარტყმით აღნუსხავს).

თუ პირველ სამ წუთში ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ გააკეთა ქულა, ან არც ერთი მათგანი არ არის გაფრთხილებული, გაფრთხილება ეძლევა ორივე მეტოქეს. ათლეტი გაფრთხილებას იღებს, აგრეთვე ლეიბიდან გაქცევისას, ან მეტოქის ხალიჩიდან „გაგდების“ შემთხვევაშიც. მაგრამ მანამდე არბიტრი მოჭიდავეს შენიშვნას აძლევს: მესამე გაფრთხილების შემდეგ სპორტსმენს წმინდა წაგება ეთვლება (4 საჯარიმო ქულა); აშკარა უპირატესობის დროს (10 ქულა და მეტი) გამარჯვებული იღებს 0,5 ქულას, დამარცხებული კი 3,5-ს; ფრე, სადაც მეტოქეებს არა აქვთ გაკეთებული ტექნიკური ქულა, ორნახევარი საჯარიმო ქულით ფასდება.

ფინალში გადის 3 ან 2 მოჭიდავე, რომლებსაც 6 საჯარიმო ქულაზე ნაკლები აქვთ. ისინი ერთმანეთში გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს. ადრე მიღებული ყველა ქულა ფინალში გასულთ ეხსნებათ. თუ ფინალისტები ერთმანეთს მანამდე შეხვდნენ, მათი ჭიდილის შედეგი ფინალში ირიცხება. გამარჯვებულად ჩაითვლება მოჭიდავე, რომელიც ფინალში ნაკლებ საჯარიმო ქულას დააგროვებს. ფინალში გასულ ორ ათლეტში გამარჯვებული ვლინდება ერთმანეთში ბრძოლის შედეგის მიხედვით.

თუ ფინალისტები ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ, უპირატესობა მიენიჭება იმას, ვისაც მთელ ტურნირში ნაკლები საჯარიმო ქულა აქვს მიღებული. შემდგომში უპირატესობა ენიჭება იმას, ვინც მეტჯერ გაიმარჯვა წმინდად, ვისაც ნაკლები ფრე და გაფრთხილება აქვს. თუ აქაც თანაფარდობა აღმოჩნდა, ჩემპიონი ორივე მოჭიდავე ხდება. გამარჯვებულის გამოსავლენად ფინალისტთა აწონვას აღარ მიმართავენ.

წესებში გათვალისწინებულია უხეირო მსაჯთა მკაცრად დასჯელი (დისკვალიფიკაციამდეც კი) პუნქტი.

ახალი წესები ძალაში შევა 1967 წლის 1 იანვრიდან.

## ორი მნიშვნელოვანი სხდომის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

## გამოცდაზე ჩაიჭრნენ

სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონთან — უკრაინის გუნდთან ქუთაისის სტენდზე გამარჯვების მერე საქართველოს მსროლელთა ნაკრები ბაქოს გაემგზავრა აზერბაიჯანელ კოლეგებთან საასპარეზოდ. ჩვენი გუნდი თითქმის მთლიანად თბილისელებით იყო დაკომპლექტებული (გამონაკლისს მხოლოდ სოხუმელი კ. დარასელია წარმოადგენდა). შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთ გამოცდილ მსროლელებს, როგორიც არიან ი. საგანელიძე, ბ. ანტონოვი და სხვ. მაგრამ გუნდის მესვეურები ფიქრობდნენ — ზოგი ჭირი მარგებელია, ახალგაზრდებს გამოვცდითო.

მასპინძლებმა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი დაახვედრეს სტუმრებს. შეჯიბრების პროგრამა ისეთივე იყო, როგორიც ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაშია მოსალოდნელი: ორივე სახეობაში 4-4 ვაჟი და თითო ქალიშვილი ასპარეზობდა.

საქართველოს ჩემპიონი მრგვალ სტენდზე სროლაში ტ. ქლენტი პირველივე დღეს დაწინაურდა. პირველ სერიაში მან ისევე, როგორც ხ. ჯაფაროვმა (ბაქო) ყველა სამიზნე დაამსხვრია, მაგრამ აი, მეორე სერიაში თბილისელმა მხოლოდ ერთ სამიზნეს ააცილა, მასპინძელმა კი — ორს. მესამე სერიის შემდეგ მეტოქეთა შედეგები ისევ გათანაბრდა: ახლა ქლენტს მოეცარა ხელი. ბოლო სერია მეტად დაძაბულად წარიმართა. ჯაფაროვს უფრო მალე უღალატეს ნერვებმა — მან ზედიზედ ორ მფრინავ სამიზნეს დააცილა. თბილისელ ოსტატს კი მხოლოდ ერთხელ უმტყუნა ბედმა: მან 95 ქულა მოაგროვა და ლიდერი გახდა.

მეორე დღეს მასპინძლებმა შეძლეს დანაკარგის ანაზღაურება. ზედმიწევნით ზუსტად ისროდნენ ჯაფაროვი და ვ. პოლომარჩუკი. იმ დღეს მათ შესაბამისად 97 და 96, 200 შესაძლებლიდან კი 191 და 189 ქულა მოაგროვეს და I და II ადგილებზე დამკვიდრდნენ. წინ იყო ფინალი...

თბილისელმა ლ. სიმონიანმა წინა დღით ნაჩვენები შედეგი (91 ქულა) 2 ქულით გააუმჯობესა და ფინალში გავიდა, სადაც მეტოქეთ 50-50 სამიზნეზე სროლის უფლება მიეცათ. ჯაფაროვმა 49 ქულა მოაგროვა, პოლომარჩუკმა — 48, სიმონიანმა — 47, ქლენტმა კი მხოლოდ 43. სიმონიანი თანაგუნდელს დაეწია და, საბოლოოდ, III-IV ადგილები გაიყო მასთან. გაიმარჯვა ჯაფაროვმა. გუნდური პირველობაც მასპინძლებმა მოიგეს — 893:861.

სტუმრებმა რევანში ადგილიდან სროლაში აიღეს, თუმცა, დასაწყისი კარგს არას უქადდათ. პირველ სერიაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ვ. ფიოდოროვი (ბაქო), კ. დარასელია და ზ. მაჩხანელი — სამივემ მხოლოდ 2-2 სამიზნე „დაინდო“. მეორე სერიაში მაჩხანელს 4 სამიზნე „გაუფრინდა“, მაშინ, როცა ფიოდოროვმა და დარასელიამ თითოჯერ დააცილეს მიზანს. ბაქოელმა მომდევნო სერიაში კიდევ 2 ქულა დაკარგა, 100 შესაძლებლიდან 95 ქულა მოაგროვა და ლიდერობა ხელთ იგდო. მასთან 2 ქულას აგებდა დარასელია, რომელსაც 1 ქულით ჩამორჩა მაჩხანელი. აშკარად სუსტად იასპარეზა საქართველოს ჩემპიონმა ვ. ალავერდოვმა (84 ქულა).

მეორე დღეს მაჩხანელმა ერთბაშად გამოასწორა მდგომარეობა: პირველ სერიაში ყველა სამიზნე გატეხა (ფიოდოროვმა — 22) და ლიდერს დაეწია. ამ ორ სპორტსმენსა და დარასელიას ახლა ერთნაირი შედეგები (117 ქულა 125-დან) ჰქონდათ. მაშასადამე, გამარჯვებისთვის ბრძოლაც თავიდან იწყებოდა... ფინიშამდე კი თითქმის არაფერი რჩებოდა — 75-75 გასროლა. ფინალის წინ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა: მაჩხანელს 200-დან 186 ქულა ჰქონდა, დარასელიას — 185, ფიოდოროვს — 183.

ფინალი. ფიოდოროვი ზუსტად ისროდა, მაგრამ ვალში არც მაჩხანელი დარჩა და მეტოქეებმა სერია უშეცდომოდ განვლეს. დარასელიამ ორჯერ ააცდინა მიზანს. ბოლო 25 სამიზნიდან მაჩხანელმა კვლავ ყველა დაამსხვრია, დარასელიამ — 24, ფიოდოროვმა კი — 20 და, საპრიზო ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 898:879.

საქართველოს გუნდის წაგების მთავარ მიზეზად ზოგიერთი სპორტსმენის, განსაკუთრებით კი ახალბედა მსროლელების — მატიაშვილისა და ბუკიას სუსტი გამოსვლა, აგრეთვე, ცუდი ვაზნები უნდა მივიჩნიოთ. გაგვახარა ნ. ჯანაშიამ, რომელმაც მრგვალ სტენდზე სროლაში 95 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ჟ. ბლიაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაქო.



გუშინწინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ფინალური შეხვედრა ფეხბურთში საქართველოს პროფსაბჭოს თასზე. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის გუნდები — „ელექტრიკოსი“ და „ისანი“. თამაში მიმდინარეობდა სპორტულად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. გამარჯვება ანგარიშით 1:0 მოიპოვა „ელექტრიკოსმა“, რომელსაც გადაეცა გარდამავალი პრიზი.

* * *

სურათზე: პროფსაბჭოს თასის მფლობელი — თბილისის „ელექტრიკოსი“.

ფოტო ი. იუნაევისა.

## [illegible]

● ზაპოროჟიე, 11 დეკემბერი. დღეს აქ დამთავრდა ახალგაზრდა ძალოსანთა საკავშირო გუნდური პირველობა. საპრიზო სამეული ასე გამოიყურება: I. რსფსრ, II. უკრაინა, III. მოსკოვი. კარგად გამოვიდა საქართველოს გუნდის წევრი, 19 წლის ა. კირაკოსოვი, რომელმაც სამჭიდში 325 კგ დააგროვა და I ადგილი მოიპოვა ქვემსუბუქი წონის ძალოსნებში.

დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: მჩატეში — ვ. კრიშჩიშინმა (უკრაინა) — 325 კგ, მსუბუქში — ვ. ლავრუხინმა (რსფსრ) — 362,5 კგ, ქვესაშუალოში — ი. კალაჩნიკოვმა (მოსკოვი) — 395 კგ, საშუალოში — გ. გრომცევმა (მოსკოვი) — 410 კგ, ქვემძიმეში — კ. ბალდინმა (მოსკოვი) — 425 კგ, მძიმეში — ე. პუტრინმა (რსფსრ) — 442,5 კგ.

● დონის როსტოვი, 11 დეკემბერი. მოფარიკავეთა საკავშირო თასის გათამაშებაში დღეს გამოვლინდა რაპირისტ ვაჟთა შორის გამარჯვებული. თასის მფლობელი გახდა უკრაინელი ი. ვიტებსკი. II ადგილზე გავიდა ვ. დონინი (ყირგიზეთი), ხოლო III — ა. კორშუნოვი (რსფსრ).

# იმედები

ჩვენი მოთხილამურეების პირველი კონტაქტი უცხოელ სპორტსმენებთან უკვე დამყარდა. ტულომში (მურმანსკთან ახლოს) საბჭოთა ათლეტებთან ერთად ვარჯიშობდნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის მოთხილამურეებიც. მურმანსკსა და ზლატოუსტში ხანმოკლე საწვრთნელი შეკრებების შემდეგ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა ჯგუფები დანაწილდებიან კიროვში, სვერდლოვსკში, პერმში, უფაში, ნოვოსიბირსკსა და კრასნოიარსკში. აქ ისინი გამართავენ შეჯიბრებებს და, რაც მთავარია, ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ.

მოწინავეთა პირველი „სერიოზული საუბარი“ კი სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ ტურში გაიმართება (ლენინგრადი, 31 იანვარი-4 თებერვალი). თავისი ვადებით ეს ტური ახლოსაა გრენობლის ოლიმპიურ თამაშებთან (6-18 თებერვალი, 1968 წ.). როგორც ჩანს, ქვეყნის პირველობამ უნდა გვაჩვენოს, მიაღწევენ თუ არა ჩვენი სპორტსმენები უმაღლეს სპორტულ კონდიციას ოლიმპიური სტარტების პერიოდისთვის.

სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე ტური შედგება მარტის ბოლოს მურმანსკში. 70 კმ-ზე რბოლაში ჩემპიონის ტიტული კი მოსკოვში გათამაშდება 7-8 იანვრამდე.

აი, ასეთია კულმინაციური წერტილები მოთხილამურეთა კალენდრისა, რომელიც ჩემი აზრით, დახელოვნების დიდ შესაძლებლობებს შლის ჩვენი სპორტსმენების წინაშე. ამ კალენდრის კიდევ ერთი თავისებურება სხვადასხვა ასაკის ჯგუფებისთვის დიდი საკავშირო შეჯიბრებების სიუხვე გახლავთ. გაიმართება მოსწავლეთა პოპულარული შეჯიბრებებიც „პიონერსკაია პრავდის“ პრიზზე და მოზარდთა პირველობებიც (13-14, 15-16, 17-18-წლიანთათვის). ეს შეხვედრები ხელს შეუწყობს სპორტის ყველა სახეობისთვის ახალი, ძლიერი კადრების მომზადებას.

წლევანდელი სპორტული ზამთრის მასობრივი ასპარეზობების გვირგვინი იქნება პროფკავშირთა ზამთრის VI სპარტაკიადის ფინალი, რომელიც გორკში გაიმართება.

შეჯიბრებებზე ბევრი ვილაპარაკე, მაგრამ წარმატება მხოლოდ სპორტსმენების მომზადებაზეა დამოკიდებული. ბევრი რამ ითქვა იმაზეც, რომ ვარჯიში გაიოლებულ პირობებში კი არა, რთულ, დიდი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელის შესატყვის ტრასებზე უნდა ტარდებოდეს. ასე ემზადებიან ჩვენი მოზარდი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრები, მათ შორის, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებიც.

სულ უფრო მეტი სპორტსმენი მიმართავს ორჯერად წვრთნას (საღამოს — განათებულ ტრასებზე). სხვათა შორის, ნაკრებისთვის ჩვენ გადასატანი განათება შევუკვეთეთ, 3-4-კილომეტრიანი მავთულით. ტყეში, ან ახალ, გაუკვალავ დისტანციებზე ასეთი განათების სწრაფად მოწყობა გაცილებით იოლია.

სათხილამურო სპორტის მოყვარულებს, ბუნებრივია, აინტერესებთ, თუ ვინ შევა ჩვენს ოლიმპიურ ნაკრებში. მოწინავე სპორტსმენების სახელები ყველასთვის ცნობილია. მათ შეიძლება დავუმატოთ 19-20 წლის მრბოლელები — მინსკელი ვ. ავსეევი, სვერდლოვსკელი ლ. დორონინა, ნოვოსიბირსკელი მხტომელი ა. ტიხონოვი და სხვ.

სხვათა შორის, ჩვენ გვყავს ვეტერანები, რომლებიც ახალგაზრდებს ტოლს არ უდებენ ასაკით: მაგალითად, ი. ვორონჩიხინი, ვ. ხალიტოვი, ვ. მამატოვი და სხვ.

დარწმუნებული ვართ, წლევანდელ სეზონში სათხილამურო ტრასებსა და ტრამპლინებზე ახალი სახელებიც გაბრწყინდება.



◆

თბილისის სახელმწიფო ცირკში წარმატებით მიმდინარეობს დიდი წარმოდგენა — „თქვენთვის, თბილისელებო“. მაყურებელი მოწმეა მრავალფეროვანი პროგრამისა, რომელშიც ბევრი სპორტული ნომერია.

• • •

სურათებზე: ზევით — აკრობატები, მამა-შვილი ტ. და დ. იუმაევები; ქვევით — ველოფიგურისტები მიცკიებები. ფოტო მ. ზარგარიანისა.

◆



# ინგლისი: ლიდერი ხვდება ჩემპიონს

შაბათს, მანჩესტერში შედგა ჩემპიონატის XX ტურის ცენტრალური მატჩი — გათამაშების ლიდერი, ადგილობრივი „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეხვდა ქვეყნის ჩემპიონს — „ლივერპულს“. ჩემპიონმა გასულ ოთხშაბათს სამარცხვინოდ წააგო ჰოლანდიაში (1:5), ხოლო მანჩესტერლები დამარცხდნენ გათამაშების აუტსაიდერთან — „ასტონ ვილასთან“ (1:2). ამის გამო მატჩმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. მოწინააღმდეგეებმა შესანიშნავად ითამაშეს და თითო ქულა აიღეს — 2:2.

ბრიტანეთის პრესა ბოლო ხანებში წერდა ცნობილი თავდამსხმელის გრივსის ცუდ ფორმაზე. მას თითქმის აღარ გაჰქონდა გოლები. შაბათს „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და „ლესტერ-სიტის“ შეხვედრაში გრივსმა უწინდებურად ითამაშა. „ბენქსის კარში მის მიერ გატანილი გოლი მატჩის გვირგვინი იყო“, — წერს ცნობილი კომენტატორი ბ. მური. „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ მოიგო — 2:0.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ბერნლი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 4:2, „ფულჰემი“ — „საუთჰემპტონი“ 3:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „ბლექპული“ 1:1, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ჩელსი“ 2:2, „ნოტინგემ ფორესტი“ — „შეფილდ უენსდეი“ 1:1, „შეფილდ იუნაიტედი“ — „არსენალი“ 1:1, „სტოკ-სიტი“ — „ასტონ ვილა“ 6:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „მანჩესტერ-სიტი“ 0:3.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია ჯ. ჰერსტი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“) — 21 გოლი.

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ იუნაიტ“. | 20 | 42:28 | 28 |
| „ჩელსი“ | 20 | 38:22 | 27 |
| „ლივერპული“ | 20 | 39:26 | 26 |
| „სტოკ-სიტი“ | 20 | 35:21 | 25 |
| „ბერნლი“ | 20 | 42:32 | 24 |

# შოტლანდია: „სელტიკმა“ ისევ მოიგო

შაბათს, ჩემპიონატის მორიგ ტურში, გლაზგოს „სელტიკი“ შინ შეხვდა „მადერუელს“. გლაზგოელთა ნახევარმცველმა კლარკმა ანგარიში გახსნა, ხოლო ჩალმერსმა კიდევ 3 გოლი გაიტანა სტუმართა კარში. „მადერუელმა“ მხოლოდ 2 ბურთის გაქვითვა შეძლო. ამრიგად, გაიმარჯვა „სელტიკმა“ (4:2), რომელიც წაუგებლად იბრძვის და 12 მატჩიდან მხოლოდ 2 ფრე აქვს.

„გლაზგო რეინჯერსმა“ შინ მოუგო I ლიგის ახალბედა გუნდს — „სტერლინგ ალბიონს“ — 4:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ეირდრიონიენსი“ — „პარტიკი“ 3:1, „დანდი“ — „კლაიდი“ 3:4, „ფოლკერკი“ — „აბერდინი“ 1:0, „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ — „დანდი იუნაიტედი“ 2:1, „კილმარნოკი“ — „დანფერმლაინ ატლეტიკი“ 1:1, „სენტ-მირენი“ — „ჰიბერნიენი“ 1:3.

ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 12 | 37:12 | 22 |
| „აბერდინი“ | 14 | 28:16 | 20 |
| „კილმარნოკი“ | 13 | 20:10 | 19 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 12 | 36:13 | 18 |
| „ეირდრიონიენსი“ | 14 | 22:11 | 18 |

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

საკ. ინფ.

# იტალია: კვლავ ს. მაცოლა და კ. ჰამრინი

კვირას, პირველობის XI ტურის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა „იუვენტუსისა“ და „ბოლონიას“ შეხვედრა. ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა ტურინელმა მენიკელიმ, ხოლო ბოლონიელთა კაპიტანმა პასკუტიმ 38-ე წუთზე გაქვითა გოლი — 1:1. გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ტურინელთა სტოპერმა ს. სალვადორემ 72-ე წუთზე. „იუვენტუსმა“ გაიმარჯვა — 2:1.

მილანში ერთმანეთს შეხვდნენ „ინტერნაციონალე“ და I ლიგის დებიუტანტი — „ვენეცია“. გაიმარჯვა „ინტერმა“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს: 33-ე წუთზე მაცოლამ (პენალტიდან), 48-ე წუთზე — სუარესმა. საპასუხო გოლის ავტორია ბენიტესი.

„ფიორენტინასი“ და „ლეკოს“ შეხვედრის გმირი იყო შვეციელი ჰამრინი, რომლის გარღვევის შედეგად „ლეკოს“ მცველმა ბურთი საკუთარ კარში მოათავსა, ხოლო 43-ე წუთზე ჰამრინმა თავად გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

ტურის სხვა შედეგებია: „კალიარი“ — „ტორინო“ 2:0, „ატალანტა“ — „რომა“ 2:4, „ფოჯა“ — „მანტოვა“ 2:1, „ლაციო“ — „ლანეროსი“ 0:0.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია ს. მაცოლა („ინტერი“) — 9 გოლი. კ. ჰამრინს („ფიორენტინა“) 8 გოლი აქვს გატანილი.

აი, ლიდერებიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 11 | 23:5 | 19 |
| „იუვენტუსი“ | 11 | 15:4 | 17 |
| „კალიარი“ | 11 | 14:1 | 16 |

# ესპანეთი: გოლები საკუთარ კარში

კვირას, კორდოვაში გათამაშების ლიდერი — მადრიდის „რეალი“ შეხვდა ადგილობ-

ფეხბურთი

რივ „კორდოვას“. მატჩის ერთადერთი გოლი [illegible] გაიტანა მადრიდელთა ნახევარმცველმა რუის [illegible].

საინტერესოდ წარიმართა შეხვედრა საბადელში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდსა და თასის მფლობელ — „რეალ-სარაგოსას“ შორის. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მათვე გაიტანეს მეორე გოლი... საკუთარ კარში — 1:1. შესვენებამდე „სარაგოსას“ კარში დაინიშნა პენალტი და ანგარიში გახდა 2:1 „საბადელის“ სასარგებლოდ. 55-ე წუთზე სარაგოსელმა კანარიომ თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 2:2. მაგრამ აი, სარაგოსელთა ნახევარმცველმა ვიოლეტამ ბურთი გაიტანა... საკუთარ კარში და თასის მფლობელი დამარცხდა — 2:3.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „სევილია“ 3:0, „პონტევედრა“ — „ესპანიოლი“ 3:0, „ბარსელონა“ — „ლას-პალმასი“ 2:1, „ელჩე“ — „გრანადა“ 0:1, „ლა კორუნია“ — „ატლეტიკო“ (ბილბაო) 1:0.

აი, ლიდერებიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 13 | 28:10 | 22 |
| „ესპანიოლი“ (ბარს.) | 12 | 19:10 | 18 |
| „ბარსელონა“ | 13 | 25:11 | 17 |

# პორტუგალია: ეუსებიოს 2 გოლი

კვირას, ჩემპიონატის X ტურში, ლისაბონის „ბენფიკა“ შინ შეხვდა ბარეიროს კუფ-ს. პირველივე წუთზე ტორესის გადაცემიდან ეუსებიომ ანგარიში გახსნა. მანვე გაიტანა მეორე გოლიც. საბოლოოდ „ბენფიკამ“ „მშრალი“ ანგარიშით გაიმარჯვა — 3:0.

ქვეყნის ჩემპიონი — ლისაბონის „სპორტინგი“ კვლავ ცუდად თამაშობს — იგი VII ადგილზეა. ამ დღეს „ვარზიმთან“ გასვლითი მატჩი „სპორტინგმა“ ფრედ დაამთავრა — 2:2.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბელენენსესი“ — „პორტო“ 1:2, „ბეირა მარი“ — „სპორტინგი“ (ბრაგა) 0:0, „გიმარაისი“ — „აკადემიკა“ 0:1, „ლეიქსოსი“ — „ატლეტიკო“ (ლისაბონი) 3:1, „ვიტორია“ (სეტუბალი) — „სან-ჟოანენსე“ 0:0.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ (ლისაბონი) | 10 | 22:9 | 17 |
| „აკადემიკა“ (კოიმბრა) | 10 | 23:10 | 15 |
| „ლეიქსოსი“ (პორტო) | 10 | 14:7 | 15 |

# ვ. ფედოტოვი, ვ. ანიჩკინი, ე. ხუციშვილი...

ჰალები (სირია). 12 დეკემბერი. აქ გაიმართა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების მეორე შეხვედრა სირიელ ფეხბურთელებთან. სტუმრებს ამჯერად შეხვდა ქალაქის სპორტული კლუბების ნაკრები გუნდი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 4:0.

მატჩის გმირად მოგვევლინა ვ. ფედოტოვი (ცსკა), რომელმაც მეტოქეთა კარში გაიტანა პირველი და ბოლო ბურთი. დანარჩენი 2 გოლის ავტორები არიან ვ. ანიჩკინი (მოსკოვის „დინამო“) და ე. ხუციშვილი (თბილისის „დინამო“).

ადგილობრივი გაზეთი „ალ-ჯამაჰირი“ აღნიშნავს საბჭოთა ფეხბურთელების კარგ თამაშს.

# 2:0

ბაღდადი, 11 დეკემბერი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩების სათამაშოდ ერაყს ეწვია ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა გუნდი. პირველი შეხვედრა სტუმართა წარმატებით აღინიშნა: გუშინ მათ დაამარცხეს ადგილობრივი ტრანსპორტელების კლუბი — 2:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# „სხვა საქმე არა მაქვს“

აშშ-ის მრავალგზის ჩემპიონი, 23 წლის დიდოსტატი რ. ფიშერი ჰავანის საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში ჟურნალისტებს შეხვდა და მატჩში ლ. შტეინის გამოწვევის თაობაზე ესაუბრა. საუბრის შემდეგ მან პასუხი გასცა რამდენიმე შეკითხვას:

● **მოგეწონათ კუბა?**

— ჩვენი გუნდი ჰავანაში კარგად მიიღეს. მომეწონა ოლიმპიადის ორგანიზაცია, განსაკუთრებით, განათება, საჭადრაკო მაგიდები, ფიგურები. არ მომეწონა ფოტორეპორტიორების სიმრავლე...

ოლიმპიადის ორგანიზატორებს ბევრი უმუშავიათ და მართლაც შეძლეს თამაშისთვის საუცხოო პირობების შექმნა. კუბაში ჭადრაკს ისე ეკიდებიან, როგორც მან ეს დაიმსახურა.

● **რას იტყვით თქვენს გამოსვლაზე კაპაბლანკას ხსოვნის ბოლო ტურნირში?**

— მე ხომ ტელეფონით მომიწია თამაში იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიზა არ მომცა. როცა მეტოქის სახეს არ ხედავ, ძნელია თამაში. ძალიან დავიღალე.

● **რა აზრისა ხართ მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემაზე?**

— მე უკვე გამოვთქვი ჩემი მოსაზრებები ფიდე-ს კონგრესზე. მგონი, დელეგატები არ დამეთანხმნენ.

ახლაც მიმაჩნია, რომ საზონათშორისო ტურნირში პირველი პრიზი 5 ათას დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. შესაბამისად, საჭიროა გადიდდეს სხვა პრიზებისთვის განკუთვნილი თანხაც. მაშინ ბევრს გაუჩნდება მსოფლიო ჩემპიონობის სურვილი.

ბევრი ტურნირის პირობები არ მომწონს და პროტესტის ნიშნად, მათში არ ვმონაწილეობ.

რაც შეეხება მსოფლიო პირველობის გათამაშების ახლანდელ სისტემას, იგი სრულყოფილი არ არის. პრეტენდენტების მოკლე მატჩები დიდ უპირატესობას აძლევს მათ, ვინც სტარტს წარმატებით აიღებს.

● **თუ მოგიგიათ მსოფლიო ჩემპიონებისთვის?**

— დიახ, დამიმარცხებია ეივე, პეტროსიანი, სმისლოვი და ტალი. ბოტვინიკი ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონია, რომლისთვისაც ერთი პარტიაც არ მომიგია.

● **ჭადრაკის გარდა რას საქმიანობთ?**

— მე პროფესიონალი მოჭადრაკე გახლავართ და სხვა საქმე არა მაქვს.

● **რას აკეთებთ თქვენს ქვეყანაში ჭადრაკის განვითარებისთვის?**

— ეგ არ მაღელვებს. ვცდილობ ბევრი ვითამაშო და ყოველ გამოსვლას მაქსიმალურ ძალას ვახმარ. ესაა ერთადერთი, რასაც ჭადრაკისთვის ვაკეთებ. თუმცა ახალგაზრდებისთვის დავწერე წიგნი და ვფიქრობ იგი სარგებლობას მოუტანს მათ.

სხვათა შორის, თავისი წიგნი რ. ფიშერმა ფიდელ კასტროსაც გადასცა.

— თქვენი ნაპახსოვარი წიგნი მომეწონა, — უთხრა ამერიკელ დიდოსტატს ფიდელ კასტრომ. — რამდენიმე გვერდი წავიკითხე და ვფიქრობ, რომ მისგან სარგებლობას მივიღებ.

— მინდა ვიქონიო იმედი, რომ ჩემი წიგნი ხელს შეგიწყობთ ჭადრაკის დაუფლებაში, — უპასუხა რ. ფიშერმა.



უსიტყვოდ...

ნახატი ა. ერაძისა.



△ ლოს-ანჟელოსი. ამერიკელი ათლეტი ჯ. ვუზტონი ჭოკით 5 მეტრის სიმაღლეზე გადახტა. იგი ოცდამეერთე მძლეოსანია, რომელმაც წლეულს ასეთი შედეგი აჩვენა.

თბილისის სპორტის სასახლე
17-18 დეკემბერი
კრივი



ამიერკავკასიის რესპუბლიკათა — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს უძლიერეს მოკრივეთა ნაკრები გუნდების ტურნირი. დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 06162